Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

სექტემბერი 2021

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2021 წლის სექტემბერში 362.5%-ით გაიზარდა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 73.1%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 348.8%-ით გაიზარდა (2021/2020) და 71.1%- ით შემცირდა (2021/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 401.3%-ით გაიზარდა (2021/2020) და 61.1%-ით შემცირდა (2021/2019).
- პანდემიამდე საქართველოს სასტუმრო ინდუსტრია სტაბილურად იზრდებოდა, კერძოდ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასტუმროთა და აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. 2020 წელს რადიკალურად შეიცვალა ინდუსტრიის მთავარი ინდიკატორების დადებითი ტრენდები, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია. კერძოდ, საქართველოში არსებული სასტუმროების რაოდენობა 37.3%-ით შემცირდა.
- პანდემიის პირველ წელს, ტურიზმში საქართველოს რეზიდენტების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა და საერთო ვიზიტორების 69.4% შეადგინა. ხოლო სასტუმროთა სამედიცინო მიზნით ვიზიტის როლმა 2016-2020 წლის მაქსიმუმს მიაღწია, რაც ძირითადად სასტუმროების საკარანტინე ზონებად გამოყენებამ გამოიწვია.

პანდემიის გავლენა საქართველოს სასტუმრო სექტორზე

სასტუმრო ინდუსტრია პანდემიის შედეგად ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული სექტორია. მიუხედავად ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენის ფაზაში გადასვლისა, მნიშვნელოვანია შეფასდეს პანდემიის ეფექტი სასტუმრო სექტორზე, რათა უკეთ განისაზღვროს სრული აღდგენის პერიოდი და გატარდეს ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისთვის რელევანტური ღონისძიებები.

2016-2019 წლებში, პანდემიამდე, სასტუმრო სექტორი სტაბილურად იზრდებოდა. კერძოდ, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა 2016 წლიდან 2019 წლამდე 12.4%-ით გაიზარდა (1,496-დან 1,682-მდე), სასტუმროთა სრული ფართობი 1.675 ათასი კვ.მ.-დან 2,272 ათას კვ.მ-მე 35.7%-ით, ხოლო სასტუმრო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 31.7%-ით (15,628-დან 20,575-მდე) გაიზარდა. COVID-19-ის გავრცელებამ ინდუსტრიის ძირითადი ინდიკატორების დადებით დინამიკას მიმართულება შეუცვალა. 2020 წელს, სასტუმროების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით 37.3%-ით შემცირდა, ხოლო სასტუმროების საერთო ფართობი 19.6%-ით. ამავდროულად, სასტუმრო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 33.8%-ით დაიკლო[I].



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016-2019 წლებში ასევე იზრდებოდა სასტუმროთა ვიზიტორების რაოდენობა. ვიზიტორთა რაოდენობამ მაქსიმუმს (4.01 მლნ) 2019 წელს მიაღწია, საიდანაც ვიზიტების 71.5% არარეზიდენტებზე მოდიოდა. არარეზიდენტი ვიზიტორების 35.3% დსთ-დან, ხოლო 15% ევროკავშირიდან სტუმრობდა საქართველოს. ხოლო, 2019 წელს საქართველოს რეზიდენტები მთლიანი ვიზიტორების რაოდენობის 28.5%-ს შეადგენდა.

2020 წელს, საერთო ვიზიტორების რაოდენობა, 2019 წელთან შედარებით, 66.5%-ით შემცირდა და 2016-2019 წლების საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 39.5% შეადგინა. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობა რადიკალურად (85.7%-ით) შემცირდა და საერთო ვიზიტორების მხოლოდ 30.6% შეადგინა. აქედან, ვიზიტორების 34.5% დსთ ქვეყნებზე, ხოლო 8.9% ევროკავშირზე მოდიოდა[II]. 2020 წელს, საქართველოს რეზიდენტთა ვიზიტები 18.5%-ით შემცირდა და საერთო ვიზიტების 69.4% შეადგინა, რამაც სრულად შეცვალა რეზიდენტობის მიხედვით ვიზიტორთა წილების პრე-პანდემიური სტრუქტურა.

პანდემიამ, ასევე, შეცვალა სასტუმრო ვიზიტების მიზნის მიხედვით განაწილებაც. 2016-2019 წლებში, სამედიცინო მიზნით საშუალოდ მთლიანი ვიზიტორების 1.3% სტუმრობდა სასტუმროებს, ხოლო 2020 წელს ამ მაჩვენებელმა 16.2% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვიზიტებიდან 90.3% საქართველოს რეზიდენტებზე მოდის, რაც პირდაპირ იხსნება პანდემიის პერიოდში სასტუმროთა საკარანტინე ზონებად გამოყენებით.

ამას გარდა, 2016-2020 წლებში რეკრეაცია სასტუმრო ვიზიტების მთავარი მიზანი იყო, მაგრამ 2020 წელს კატეგორიებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კლება, 2019 წელთან შედარებით, სწორედ სარეკრეაციო ვიზიტებში შეინიშნება (75.8%). ამავდროულად, სარეკრეაციო ვიზიტების უმრავლესობა (62.9%) საქართველოს რეზიდენტებზე მოდის, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პანდემიის პერიოდში სასტუმრო ინდუსტრიისთვის შიდა ტურიზმის გაზრდილ როლს.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

I საქსტატი: სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების ძირითადი ინდიკატორები
II საქსტატი: სასტუმრო ვიზიტორების რაოდენობა ნარმომავლობის მიხედვით

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 სექტ/ 2021 აგვ	2021 სექტ/ 2019 სექტ	2021 სექტ/ 2021 აგვ	2021 სექტ/ 2019 სექტ	2021 სექტ/ 2021 აგვ	2021 სექტ/ 2019 სექტ
კახეთი	0.2%	25.7%	-1.1%	35.9%	0.8%	23.0%
იმერეთი	5.5%	23.1%	8.5%	15.5%	3.7%	28.4%
გურია	-25.8%	-25.6%	-34.5%	-41.3%	-15.9%	-5.6%
ქვემო ქართლი	4.1%	50.8%	0.0%	50.8%	12.9%	-
აჭარა	-12.7%	-13.1%	-14.6%	-9.8%	-9.5%	-17.9%
რაჭა	7.6%	2.5%	0.0%	0.0%	9.2%	2.5%
შიდა ქართლი	3.1%	25.2%	7.3%	25.9%	0.0%	24.9%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-8.6%	4.4%	-12.6%	-14.8%	-5.6%	11.7%
სამცხე-ჯავახეთი	-5.9%	-2.0%	-13.5%	-11.0%	2.3%	5.7%
მცხეთა-მთიანეთი	-9.0%	31.2%	-15.2%	31.3%	-4.0%	31.2%
თბილისი	-4.8%	0.5%	-5.3%	1.3%	-1.7%	-5.4%
სულ ფასების % ცვლილება	-6.6%	0.9%	-8.4%	0.8%	-3.2%	-3.4%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 წლის სექტემბერში, 2021 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით და 2019 წლის სექტემბრის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის სექტემბერში, 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით, 6.6%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი შემცირდა 8.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 3.2%-ით.

2021 წლის სექტემბერში, 2019 წლის სექტემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 0.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 0.8%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 3.4%-ით შემცირდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის სექტემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **143 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **263 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ივლისში **85 ლარი** შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა სექტემბერში **497 ლარი** შეადგინა. გურიაში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 694 ლარი შეადგინა, თბილისში - 642 ლარი, კახეთში - 539 ლარი, ხოლო აჭარაში - 485 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021	II 2021	III 2021
1	1054.1	1437.5	1800.0	2 223.0	427.2*	310.4*	335.8*	247.5*	1320.9*	187.9*	558.7*	-
2	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7	351.3	-
3	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087.0	116.6	305.8	815.4
4	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	53.6	246.1	670.4
5	386.3	463.6	524.7	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	19.8	37.1	-
6	120.0	109.5	82.3	123.4	7.4	-6.0	1.5	-252.4	-249.5	-0.5*	-2.3*	-

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.